

## შპს „კაპიტალი“

### სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს „კაპიტალი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია ორი ფიზიკური პირის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2013 წლის 18 დეკემბერს.

იურიდიული მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი N 9

ფაქტიური მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი N 9

საიდენტიფიკაციო კოდი: 417881037

კომპანიის ელექტრონული მელი: Spskapitali@gmail.com

### 1. ზოგადი დებულებები

#### 1.1. კომპანიის სტრუქტურა:

კომპანიას გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- შიდა ქართლი, ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 9;
- შიდა ქართლი, ქარელის რაიონი, სოფ. რუისი;
- შიდა ქართლი, ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 20ა;
- შიდა ქართლი, ხაშურის რაიონი, რუსთაველის ქ. 109.

ამ ოთხი ობიექტიდან შპს-ს საკუთრებას წარმოადგენს ორი მათგანი, ხოლო ხაშურის ობიექტი იჯარით გვაქვს აღებული შპს „არჩევანი“(ს/ნ 443855302)-სგან და ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 20ა თეიმურაზ სტეფანაშვილი(პ/ნ 59001062057)-სგან, რომელიც დაბეგრილი და დადეკლარირებულია ყოველი თვის საშემოსავლო გადასახადით. ასევე ამ პიროვნებისგან გვაქვს იჯარით აღებული ქ. გორი, შინდისის გზატ. 1 კმ-ში არსებული არასაცხოვრებელი ფართიდან 80,85 კვ. მ., სასაწყობე დანიშნულებით.

შპს-ს იჯარით აქვს აღებული ქ. გორი, ცხინვალის გზატ. 9-ში მდებარე შენობა N1-ის 800 კვ.მ. შპს „ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა“(ს/ნ 217881326)-სგან.

ქ. გორი, ცხინვალის გზატ. N4-ში არსებული არასაცხოვრებელი ფართიდან 105 კვ. მ. ფ/პ ქეთევან რატიშვილი(პ/ნ 59001007110)-სგან, რომელიც დაბეგრილი და დადეკლარირებულია ყოველი თვის საშემოსავლო გადასახადით.

აგრეთვე შპს-ს საკუთრებაშია ქ. გორი, სოფელ ოთარშენში არსებული შენობა, რომელსაც იყენებს სასაწყობე დანიშნულებით.

შპს „კაპიტალი“-ს მფლობელობაშია მიწები შემდეგი საკადასტრო კოდებით:

- 66.45.02.050;
- 66.45.13.403;
- 68.15.41.000.173;
- 66.45.07.462;
- 66.45.07.454.

შპს „კაპიტალი“ ფლობს შემდეგ სატრანსპორტო საშუალებებს:

- MERCEDES-BENZ 970.26;
- OPEL ASTRA;
- OPEL ASTRA;
- MERCEDES-BENZ 614 D;
- OPEL ASTRA;
- თვითმავალი ტვირთიანი 2 ცალი.

და აგრეთვე სხვადასხვა ძირითად საშუალებებს.

1.2 კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.3. კომპანიას შეიღობილი საწარმოები არ გააჩნია.

## 2. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

-მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი(შემდგომ მსს ფასს);

-საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;

-საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

-ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ნორმატიული აქტები;

2.1.კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს. მის დამფუძნებლებს აქვთ ნება კომპანიის გაზრდის და გაფართოების მომავალში.

2.2.წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრიდან.

2.3.ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საზოგადოების დირექტორი.

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

3.1. ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა-კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერიის“ გამოყენებით; მარაგების აღრიცხვა პროგრამა „ფინა“-ს მეშვეობით.

#### 3.2. ფულადი ნაკადების აღრიცხვა-ანგარიშგება:

3.2.1. სამუშაო ვალუტა-ეროვნული ვალუტა, ლარი;

3.2.2. ფინანსურ ანგარიშგებაში საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ცალ-ცალკე,პირდაპირი მეთოდით;

3.2.3.უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით,ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;

3.2.4. სხვა მოთხოვნები ფულადი ნაკადებთან დაკავშირებით მსს ფასს-ის მე-7 განყოფილების შესაბამისად.

#### 3.3. სალაროს ოპერაციების აღრიცხვა:

3.3.1.კომპანიას გააჩნია ოთხი სალარო კომპანიის პროდუქციისა და სხვადასხვა საქონლის/მომსახურების ამონაგების აღრიცხვისათვის;

3.3.2. ოთხივე სალაროს ოპერაციები აისახება სუბანგარიშზე 1110.

#### 3.4. საბანკო ოპერაციების აღრიცხვა:

3.4.1. კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს რეზიდენტ ბანკებში:

- სს „თიბისი ბანკი“

- სს „საქართველოს ბანკი“
- სს „კრედიტ ბანკი“.

საბანკო ოპერაციები აისახება გამიჯნულად(დიფერენცირებულად) ეროვნულ ვალუტაში 1210 5; 1210 8; 1210 14; 1210 15; 1210 17; 1210 19-სს „თიბისი ბანკი“, 1210 7-სს „კრედიტ ბანკი“, 1210 11-სს „საქართველოს ბანკი“ ანგარიშებზე, ხოლო უცხოურ ვალუტაში 1220 6; 1220 9; 1220 13-სს „თიბისი ბანკი“, 1220 18-სს „საქართველოს ბანკი“ ანგარიშებზე.

### 3.5. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

3.5.1. ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად;

3.5.2. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება-თვითღირებულებით .

შესყიდული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას.

თვითღირებულებაში არ შეიტანება:

-ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობები და შეღავათები;

-ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯები( მათ შორის,სარეკლამო და სტიმულირების დანახარჯები);

-ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები დანახარჯები;

-ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები.

საკუთარი ძალებით აშენებული(დამზადებული) ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით.თვითღირებულებაში არ შეიტანება მოგება(გეგმური დაგროვება);

რეალური ღირებულებით შემოსავალში აიღება:

-უსასყიდლოთ მიღებული ძირითადი საშუალებები.

3.5.3. მიწა და შენობა-ნაგებობები აღირიცხება განცალკევებულად. თუ ისინი ერთად არის შეძენილი, მათი ღირებულება გაიმიჯნება.

3.5.4. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.5.5. 100 ლარამდე ღირებულების ან/და ერთჯერადი გამოყენების საგნები, აგრეთვე ის საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად, ხარჯებში;

3.5.6. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება მისი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით;

3.5.7. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით-თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.5.8. კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა ძირითადი საშუალება ჩაშლილია სუბანგარიშებად.

### 3.6. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა:

3.6.1. შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

-ნასყიდობის ფასს, შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

-უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.6.2. არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრება საწარმოს მიერ მისი სავარაუდო გამოყენების პერიოდით, სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებების ვადის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში არაუმეტეს 10 წლის ვადით;

3.6.3. არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

3.6.4. ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აისახება ნარჩენი ღირებულებით თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით;

### 3.7. სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა

3.7.1. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;

-სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდი-უწყვეტი;

-სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო-შეწონილი“;

ფასნამატთან დაკავშირებით-საქონლის ფასის დადგენა ჩვენს მიერ ხდება:

- 1) მომწოდებლის ფასის გათვალისწინებით;
- 2) რეგიონის სიტუაციის, კერძოდ ბაზრის და კონკურენციის შესწავლით, მოცემული პერიოდისათვის.
- 3) თითოეული პროდუქტის სარეალიზაციო ფასის განსაზღვრა ხდება ინდივიდუალურად.

3.7.2. ნედლეული და მასალები ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით

3.7.3. სათადარიგო ნაწილები ჩამოიწერება ექსპლუატაციისა და რემონტის ხარჯებში აქტის საფუძველზე;

3.7.4. სამშენებლო-სარემონტო მასალები ჩამოიწერება სამუშაოს შესრულების შესახებ აქტის საფუძველზე რემონტის ხარჯებში ან კაპიტალიზდება;

3.8. ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

3.8.1. მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

3.8.2. 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

3.8.3. კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კარტრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება ხარჯებს;

3.9. მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვა:

3.9.1. სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები აღირიცხება განცალკევებულად, ანგარიშებზე - „1410-მოთხოვნები საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან“ და „3110-სავაჭრო ვალდებულება მოწოდებიდან“;

3.9.2. აქტივების ყიდვა/გაყიდვის ოპერაციებიდან მოთხოვნები და ვალდებულებები აისახება ანგარიშებზე: „1410-მოთხოვნები აქტივების რეალიზაციიდან“ და „3110-ვალდებულებები აქტივების მოწოდებიდან“;

3.9.3. ვალდებულებები საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფასიანი მომსახურებიდან, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირების მომსახურებიდან და მიკრობიზნესისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი პირების მომსახურებიდან აისახება : „3110 სუბანგარიშზე-ვალდებულებები სსიპ-ის ფასიანი მომსახურებიდან“, „3110 სუბანგარიშზე-ვალდებულებები გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის მომსახურებიდან“ და „3110 სუბანგარიშზე-ვალდებულებები სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის პირების მიმართ“;

3.9.4. მომწოდებლებისათვის, გარდა აქტივების მომწოდებლებისა, გადახდილი ავანსები (წინასწარ გაწეული ხარჯები)აისახება 1790 ანგარიშზე.

3.9.5. მოთხოვნები და ვალდებულებები იჯარიდან აისახება:

-მოთხოვნები საოპერაციო იჯარიდან-1490 19; 1490 1352; 1491 755, 1491 756, 1491 754 სუბანგარიშებზე;

-ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან -„7420“ და 3190 162; 3190 161; 3190 68; 3190 160; 3190 797 სუბანგარიშებზე;

3.10. დამფუძნებლები და საწესდებო კაპიტალი:

-შპს „კაპიტალი“ დაფუძნებულია ფიზ. პირ დავით სტეფანაშვილი(პ/ნ 59001012217-67%)-ის და ფიზ. პირ თეიმურაზ სტეფანაშვილი(პ/ნ 59001062057-33%)-ის მიერ.

-დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალში შეტანილი თანხები აღირიცხება 5150 ანგარიშზე.

3.11. გრძელვადიანი სესხების აღრიცხვა:

-გრძელვადიანი სესხები აღირიცხება დიფერენცირებულად, დამატებით გახსნილ სუბანგარიშებზე-4140 ანგარიშზე;

-გრძელვადიან სესხებზე დარიცხული პროცენტებიც აღირიცხება განცალკევებულად, დამატებით გახსნილ სუბანგარიშებზე-8210 ანგარიშზე;

3.12. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და მოგება-ზარალის ანგარიშგება:

3.12.1. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა-დარიცხვის მეთოდით;

3.12.2. ამონაგები აღირიცხება დიფერენცირებულად, დამატებით გახსნილ სუბანგარიშებზე;

-ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან(პროდუქციის,საქონლის რეალიზაციიდან)-6110 ანგარიშზე;

-ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან(დაუბეგრავი პროდუქციის,საქონლის რეალიზაციიდან)-6111 ანგარიშზე;

-ამონაგები სატრანსპორტო მომსახურების გაწევიდან-6112 ანგარიშზე;

-ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან-6113 ანგარიშზე;

-ამონაგები სასაწყობე ფართის იჯარიდან-6114 ანგარიშზე;

-ამონაგები მანქანების იჯარიდან-6115 ანგარიშზე;

- ფასდათმობა და გაყიდული საქონლის დაბრუნება -6120 ანგარიშზე;

-სხვა საოპერაციო შემოსავლები-6190 ანგარიშზე;

რეალიზაციას ვახორციელებთ ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, კერძოდ:

- ზედნადებებით რეალიზაცია;
- ჩეკებით რეალიზაცია;
- სს კრედო ბანკის განვადება;
- სს საქართველოს ბანკის განვადება;
- სს თიბისი ბანკის განვადება;
- სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის განვადება;
- სს საქართველოს ბანკის ტერმინალი;
- სს თიბისი ბანკის ტერმინალი;
- სს კრედო ბანკის ტერმინალი;
- სატრანსპორტო მომსახურების გაწევა;
- სასაწყობე ფართის იჯარა;
- სატრანსპორტო საშუალებების იჯარა.

3.12.3. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები აისახება:

-8190 1 საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი;

-8190 2 ანაზარზე დარიცხული სარგებელი;

-8190 3 უსასყიდლოდ მოწოდებული პროდუქცია;

-8190 4 ააიპ სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება;

-8190 5 ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება;

3.12.4. ხარჯების აღრიცხვის შინაარსი-ეკონომიკური შინაარსით;

3.12.5. დანახარჯები მომსახურებაზე აისახება 7200 სინთეზურ ანგარიშზე,მიწოდებისა და რეკლამის ხარჯები-7300 სინთეზურ ანგარიშზე, ხოლო ადმინისტრაციული და სხვა

ხარჯები-7400 სინთეზურ ანგარიშზე, რომელთაც საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ეხსნება სუბანგარიშები. დანახარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აღირიცხება დიფერენცირებულად;

3.12.6. არასაოპერაციო ხარჯები აღირიცხება 8200 სინთეზურ ანგარიშის სუბანგარიშებზე:

-8290 1-საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი;

-8290 3-საგადასახადო საურავი/ჯარიმა.

3.12.7. სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯები მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს და აისახება 7490 ანგარიშზე;

3.13. საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა

3.13.1. საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად;

3.13.2. საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. "ესტონური მოდელით". დაბეგვრის ობიექტი და დაბეგვრის წესი განისაზღვრება საგადასახადო კოდექსით;

3.13.3. მსს ფასს-ის მე-3 განყოფილების თანახმად ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებული, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები აისახება საგადასახადო ანგარიშგებაში;

3.13.4. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები  
 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები  
 სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები  
 მარაგები  
 სხვა  
 სხვა მოკლევადიანი აქტივები  
 სხვა არამატერიალური აქტივები  
 ძირითადი საშუალებები  
 სულ აქტივები

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები  
 ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ  
 საგადასახადო ვალდებულებები  
 გამოუმუშავებული შემოსავალი  
 გრძელვადიანი ნასესხები სახსრები  
 სხვა ვალდებულებები  
 სულ ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (მპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')  
 გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  
 სულ საკუთარი კაპიტალი  
 სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები  
 სულ მოკლევადიანი აქტივები

| 31/12/2023 | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|------------|------------|------------|
| 844614     | 47148      | 54429      |
| 179638     | 499516     | 56913      |
| 555600     | 283        | 20994      |
| 3160132    | 3112469    | 2797805    |
| 3160132    | 3112469    | 2797805    |
| 7513       | 2969       | 524        |
| 3910       | 4410       | 4020       |
| 1477986    | 1443845    | 1402859    |
| 6229393    | 5110640    | 4337544    |
| 271806     | 346076     | 466331     |
| 0          | 900        | 0          |
| 41701      | 26192      | 74332      |
| 36799      | 72216      | 0          |
| 4195409    | 3098798    | 1525881    |
| 0          | 0          | 31         |
| 4545715    | 3544182    | 2066575    |
| 0          | 35471      | 909471     |
| 1683678    | 1530987    | 1361498    |
| 1683678    | 1566458    | 2270969    |
| 6229393    | 5110640    | 4337544    |
| 4747497    | 3673401    | 2930665    |

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

|                                          |            |            |
|------------------------------------------|------------|------------|
| ნეტო ამონაგები                           | 31/12/2023 | 31/12/2022 |
| საქონლის გაყიდვიდან                      | 6795355    | 6999998    |
| მომსახურების გაწვიდან                    | 6709660    | 6950513    |
| სხვა                                     | 82695      | 40631      |
| გაყიდვების თვითღირებულება                | 3000       | 8854       |
| საერთო მოგება                            | -5492247   | -5943226   |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი               | 1303108    | 1056772    |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | 0          | 40592      |
| ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი                | -364996    | -342796    |
| საპროცენტო ხარჯი                         | -36624     | -33543     |
| იჯარის ხარჯი                             | -314845    | -176298    |
| აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -122497    | -121229    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   | -151343    | -158313    |
| საოპერაციო მოგება                        | -990305    | -791587    |
|                                          | 312803     | 265185     |

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

|                                                                          |        |        |
|--------------------------------------------------------------------------|--------|--------|
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                  | -23890 | 0      |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 288913 | 265185 |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                | -20433 | -15696 |
| საანგარიშებო პერიოდის მოგება / ზარალი                                    | 268480 | 249489 |

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

|                                                    |         |         |
|----------------------------------------------------|---------|---------|
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                | 268480  | 249489  |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშებო პერიოდის დასაწყისში | 1566458 | 2270969 |
| განაწილება მესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)      | -115789 | -80000  |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში              | -35471  | -874000 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს      | 1683678 | 1566458 |